 ცხმაზ ღმრთისა მათისა. ქოლო მე წარვპყევ მათ თანა და მივი-  
 წიენით ქალაქად მცხეთად, წიაღით შოგუთას კიდასა ზედა. ზავ-  
 დეგით მუნ და ვხედევდით ცეცხლის მსახურსა მას ერსა და მოგუე-  
 ბასა. ზა ცოომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათვს,  
 და უცხოვებასაცა ჩემსა ვეგლოვდი.

თ ა ვ ი ვ

## მოძღვანდ ჭმიდისა ნინოში მცხეთად

ქალისაგან იყო ქმად ოხრისად და საყვრისად, და გამოვიდოდა  
 ერი ურიცხვ, ვითარცა ყუავილოსანნი, ზარნი და საშინელნი გამო-  
 ვიდოდეს. ქოლო მეფე არღა სადა შეძრულ იყო. ზა ვითარცა ქამ-  
 სცა ქამბან, სივლტოლად და მი-და-მომალვად იყო უოვლისა კაცისად  
 და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე, რამეთუ გამო-  
 საძმე- ვიდოდა ჩანა დეუფალი. ზა ვითარცა განვლო ჩანა დედო-  
 ფალმან, მაშინდა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი და შე-  
 ამკვეს ფოლოცი ყოველი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლი-



თა. ზა იწყო უოველმან ერმან ქებად მეფისა. ზა მაშინ გამოვიდა შეუღამითა ხილვითა. ზა ვპეითხე ჰურისა ძირებაკსა, თუ რა არს ესე? ზა მან მრექუა: ღმერთი ღმერთთა მათ-თა უწესს მას, ცრმაზ, რომელ არა არს სხუად გარეშე კერპი.

ქოლო მე წარვედ ხილვად ცრმაზისა და აღივსნეს მთანი იგი დროშაითა! და ერითა, ვითარცა უუავილითა. ქოლო მე შეუსწრვე ციხედ ცრმაზდ და დავდევ ასლოს კერპისა მის ნაპრალსა ზღუდი-სასა და ვხედევდი საკურველებათა და საშინელსა, რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების, ვითარ-იგი იუო ზარის აღსაყდელი შიშით და ძრწოლით მეფეთად მათ და უოვლისა ერისად და საზარო დგომად.

ზიხილე: და აპა დგა კაცი ერთი სპილენძისად; და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ იქროვსად და ჩაფხუტი იქროვსად; და სამწარნი ესხ-ნეს ფრცხილი და ბივრიტი; და კელსა მისსა აქუნდა კრმალი ღესუ-ლი, რომელი ბრწყინვიდა და იქცევოდა კელსა შინა, რეცა თუ რო-მელი შეეხებინ, თავი თვესი სიკუდიდ განიწირის...

ზა მარჯულ მისა დგა კერპი იქროვსად, და სახელი მისი ზაცი; და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისად, და სახელი მისი ზა, რომელ-ნი-იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუმნთა ცრიან—ზართლით.

ზაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ ღმრთისა მიმართ ცოომა-თა მათთვეს ქუეყანისა ჩრდილოვსათა: დაფარებასა ნათლისასა და ღაპურობასა ბნელისასა ვხედევდი მეფეთა მათ ძალ-დიღთა და უო-ველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა, ვითარ-ცა მეუდარნი ჯოჯოხეთსა. ზა იტეოდეს დამბადებელად ქვათა, და ძელთა, და სპილენძისა, და რკინასა, და რვალსა გამობერვით განჯელილსა ღმრთად თავუენის-სცემდეს. ზენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად...

### თავი ۱۴

#### აღმართებად პატიოსნისა ჯუარისა მცხოვრისად

ზა იუო რაქამს მოიქცა უოველი ქართლი, ზრახვა-უვეს მღველ-თა მათ, რომელი მოსრულ იუვნეს საბერძნეთით აღმართებად ნი-ში ჯუარისად. სრექუეს მღველთა მათ შირეან მეფესა: ჯერ- და წეს-არს აღმართებად საუფლოდ ნიში ჯუარისად. ზა სათნო-უჩნდა მე-ფესა და უოველსა ერსა და სიხარულით შეიწყნარეს სიტყუად იგი

მღდელთა მათ და სწავლამ. რა უბრძანა შირეან მეფემან მელის სახურიდეს ჯუარედ. წარვიდეს ხურონი და მოპეუეთეს სც ერთი ჰაეროვანი. რა უბრძანა მეფემან შესაქმედ ჯუარი, ხოლო მღდელნი იგი ასწავებდეს სახესა მას ჯუარისასა. რა რაქამს შექმნეს ჯუარი იგი, მოვიდეს და უთხრეს შირეან მეფესა ხუროთა მათ, ვითარმედ: შევქმენით ჩუენ ჯუარი იგი, ვითარცა მღდელთა მათ გუასწავეს. რა მეყს აღდგა მეფეც იგი სიხარულით. რა ყოველმან ერმან იხილეს სახც იგი ჯუარისა მის, და დაუკრდა ფრიად და აღიღებდეს ღმერთსა.

შას ქამსა გულისხმა-უო და მოექსენა მეფესა, ოდეს-იგი დღც დაუბნელდა მთასა ზედა, ვითარ-იგი ნათელი მბრძიუნვალებისა დიდისა ისილა მსგავსად ჯუარისა. რა ვითარ ისილა, იცნა. შაშინ უთხრობდა მღდელთა მათ და ყოველსა ერსა ხილვასა მას, და ვითარ განუნათლა პნელი იგი ნიშმან ჯუარისამან წინაშე თუალთა მისთა. შაშინ ვითარცა ესმა ერსა მას სიტყუად იგი მეფისა, უმეტესადღა და უფროხს ჰრწმენა წესუ წრისტე და ნიში იგი ჯუარისა მისისა და ყოველთა ერთობით სიხარულით თაუუანის-სცეს მას და აღიღებდეს ღმერთსა.

შაშინ განაზრასვიდა მეფეც ყოველსა მას ერსა, ვითარმედ რომელსამე ადგილსა აღმართონ სახც იგი ჯუარისა. ქოლო კაცაღკაცაღი იტყოლა, საღა ვის მარჯუ უჩნდა, არამედ ვერსადა გამოიჩინეს.

შას ქამსა შირეან მეფეც იღოცვიდა და იტყოლა: უფალო წესუ წრისტე, რომელი გურწამ ტყესა ამის მიერ და გუასწავეს მღდელთა ამათ შენთა, შენ, წესუ წრისტე, რომელმან თავი თვისი დაიმდაბლე და ხატი მონებისა შთაიცუ სიმდაბლითა შენითა, რომელი გარდამოძელ კურთხეულთაგან წიაღთა მამისათა, რომელმან დაუტევენ ჩუენთვეს საყდარნი, უფლებანი და ძალნი და დაეჭვდრე საშოსა წმიდისა ქალწულისასა და მერმე ჯუარს-ეცუ სონტოველისა სილატეს ზე, დაეჭალ გულსა ქუევანისასა და მესამესა დღესა ასდეგ და აღასრულე ყოველივე თქუმული წინაწარმეტყუელთა, აღმაღლდი ზეცად და დაშჯედ მარჯუენით მამისა და მერმე მოსლვად ხარ განშვად ცხოველთა და მეუდართა და დავკტევე ჩუენ ნიში ჯუარისა შენისა დასარღუეველად უხილავთა მანქანებათა მტერისათა. ქოლო ჩუენ მოშიშთა შენთა მოგვდებიეს სასწაულად, რახთა განვერ-



წეთ პირსა ეშმაკისასა, რომლისაგანცა წარტყუუენულ ვიუვენით, ბუღალთობის ლო აწ შენ, უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, ინებე გამოცხადებად ადგილისახ, რომელსა აღვმართოთ ნიში ჯუარისა შენისახ, რახთა ისილონ მოძულეთა ჩუენთა და პრცხუენოდის. რამეთუ შენ, უფალი, შემეწიე ჩუენ და ნუკეშინის-მეც ჩუენ.

რა ვითარცა შემწუხერდა მას ღამესა, ჩუენებით დაადგრა ანგელოზი უფლისახ შირეან მეფესა და უჩუენა მას ბორცვ ერთი ტრაგუსა წიაღ კერძო, მახლობელად შცხეთასა, და პრქუა მას: ესე ადგილი გამოურჩევის ღმერთისა, ამას ზედა აღმართე ნიში ჯუარისახ. რა ვითარცა განთენა, უთხრა შირეან მეფემან მღდელთა მათ ჩუენებად იგი ანგელოზისახ და სიტყუამცა იგი, რომელ პრქუა, და ბორცვცა იგი, რომელიც უჩუენა.

ზითარცა ესმა ჩუენებად იგი და ადგილიცა იგი იხილეს, სათნოუჩნდა ყოველსა ერსა ბორცვ იგი. რა სიხარულითა და გალობითა ღილითა ყოველთა ერთბამად აღიღეს ჯუარი იგი და აღმართეს ბორცუსა მას ზედა მძლც ნიში ჯუარისახ შცხეთასა მახლობელად, მართლ წინაშე აღმოსაფალით, დღესა კურიაკესა, აღვსებისა ზატიკის ზატიკესა.

რა ვითარცა აღმართა ნიში ჯუარისახ ქუეყანასა მას ფართლისასა, მეუსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველი კერპნი, რომელი იყვნეს საზღვართა ფართლისათა, და შეიმუსრნეს და საკერპონი დაირღუეს. ზითარცა იხილეს ესე საკურველი საქმც და სასწაული, რომელი ქმნა ძლევის მყოფელმან მან ნიშმან ჯუარისამან კერპთა ზედა, უფროხ განუკრდებოდა საქმც ესე და აღიღებდეს ღმერთისა და სიხარულით თავუუანის-სცემდეს პატიოსანსა ჯუარსა.

რა ყო შირეან მეფემან და ყოველმან ერმან შცხეთისამან შესაწირავი დიდი მას დღესა შინა პატიოსნისა ჯუარისა. რა დააწესეს დღლისასწაული<sup>1</sup> ძლევით შემოსილისა ჯუარისახ აღვსებისა ზატიკის ზატიკესა, დღესა კურიაკესა, ყოველმან ფართლმან, ვიდრე დღენდელად დღედმდე და ვიდრე უკუნისამდე.

<sup>1</sup> ასეა.

## მეცნიერებების სახისა დოკუმენტი

### [ლოგისათვს]

ზიწყო ლომისათვს, რამეთუ შარავანდელ არს ყოველთა მეცნიერება და უოველთა პირუტყუთა.

საკოდ რაჭამს აკურთხევდა ზუდას, პრეზიდენტი: «ლეკუ ლომის ზუდა, მორჩად აღმოცენებულ, შვილო ჩემო!» და სხუანი იგი თითოვეულად აკურთხნა.

სახის მეტყუელმან თქუა: სამი სახც არს ლომისად:

სირველი სახც: რაჭამს ვალნ იგი, გინა თუ ზუაბნ, სული ეცის მონადირეთა და კულითა თვისითა კუალსა მას შეპრეზინინ, ნუ უკუ იკულევდენ მონადირენი და პოვონ იგი სადგურსა თვისსა და შეპყრან იგი...

სეორც სახც ლომისად: რაჭამს სძინავნ, მღვარე არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზე უხილვედ...

მესამც სახც ლომისად: რაჭამს შვნის ძუმან ლომმან ლეკუნი, მეუდარნი სხნის და ზინ და სცავნ ლეკუთა მათ, ვიდრე მოსლუადმდე მამისა მის დღესა მესამესა. სბერის შუბლსა და აღადგინნის ლეკუნი იგი...

### [ოფიციალური სახისათვს]

...წიგნი იტყვას: რომელმან ძრი თქუას მამისათვს, გინათუ დედობა თვისისათვს, სიკუდილით მოკუედინ! ქომელნი შეურაცხ-პუოფენ და რომელნი მამა-დედათა აგინებენ.

რა მფრინველი რამე, რომელსა სახელი ეწოდების ოფიციალური სახის მეტყუელმან თქუა: რაჭამს ისილიან მართუეთა დედა ანუ მამა დამდებული და თუალთაგან მოკლებული, მართუეთა მათ დაპკრტნიან მუელნი ფრთხინი და აღლოშნიან თუალნი მათნი და გა-

ნატევნიან იგინი ფრთითა თვესითა და განაახლნიან და განაჭაპუებიან იგინი. რა ჰქონდა მამა-დედათა თვესთა: ვითარცა თქუენ ჩუმინ გამოკიდით და განვითარდებით, ეგრეცა ჩუენ მას სესხსა მიგაგებთ...

### [გუელისათვს]

იყფალმან ჩუენმან წესუ წრისტემან თქუა სახარებასა შინა: იუვენით თქუენ მეცნიერ ვითარცა გუელნი, და უცოდველ ვითარცა ტრედნი.

სახის მეტყუელმან თქუა: სამი სახც არს გუელისაა:

სირველი სახც: რაჭამს დაბერდის და თუალთა მოაკლდის და ჰერბავნ განჭაპუებაა, მარხვად დგის და მკნდის და იმარხის გუელმან მან ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, ვიღრე ტყავი განევ-ლტის და განუთხნის.

ძმის ნაპრალი და პოვის კლდისაა იწროო და შეკლის იწროო და დააგდის ტყავი იგი მისი ძუელი და განჭაპუენის...

ზეორც სახც გუელისაა: რაჭამს მივიდის მდინარედ სუმად, არა მიიღის გესლი იგი მისი მის თანა, არამედ მუნ ქუაბსა ანუ კუ-რელსა დადგის...

ზესამც სახც გუელისაა: რაჭამს იხილის შიშუელი, ეტრუიალის, და თუ ისილის შემოსილი, ზედა-მიუქლის...

### [ჯინჯილისათვს]

სოლომონი იტყვს იგავსა: მიგუალე ჯინჭველისა და პბამევდ, მ მედგარო!

სახის მეტყუელმან თქუა: სამი სახც არს ჯინჭველისაა:

სირველი სახც: რაჭამს დასუუდვილად ვლენედ გზასა, ურთიერთას თითოეულად თვისი მარცუალი მიაქუნ პირითა და ცუდთა მათ, რომელთა არა აქუნ, არა ჰქონდა ტკრთოსანთა მათ, ვითარმედ: გუე-ცით ჩუენცა, არცალა ძლით მოუხუნიან მათგან და არცალა ჰშურნ, ვითარმედ იგინი მალედ შეიკრებენ უნჯსა...

ზეორც სახც ჯინჭველისაა: რაჭამს შეიღის მარცუალი საღ-

გურსა თვესსა, შუვა ოდენ განკუეთის: ნუუკუ ზამთარ იყოს, ანუ  
ტფილ, და აღმოჯეჯლდენ მარცუალნი იგი და სიყმილითა მოწუდენ.

შესამც სახც ჯინჭვლისად: მრავალჯერ, რაქამს მივიღის უა-  
ნობირად და აღვდის თავსა კუვილისასა დამუსრვად მარცულისა, ვი-  
დრე აღსლვადმდც მის თავისა ისუნებნ, იფქლისამ-ძი არს, ანუ ქრთი-  
ლისამ. ცუ ქრთილისად არნ, ივლტინ მიერ, და იფქლისასა მას მივი-  
დის. ქამეთუ ქრთილი იგი პირუტყუთა საჭმელ არს...

### [გრძლაბისათვს]

რჩს რომელიმე იძრვისი, რომელი იწოდების გრძლაბი: მომრგუა-  
ლც არს პირთვს სახც სატითა; ზურგი მისი შეჭურვილ არს ეკ-  
ლითა და ეკალი მისი ჰგავს ზღვსა გრძლაბსა.

სახის მეტყუელმან თქუა გრძლაბისათვს: რაქამს აღვდის ვენაქ-  
სა, ტევანნი დამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდამოაბნის.  
რა გარდამოკვდის, შეაკოლტის ერთად და ინგორის მარცუალსა მას  
ზედა. რა აღეკრის მარცუალი იგი ეკალსა მას მისსა და მიართვს მარ-  
თუეთა თვესთა, და დაუტევის კერტი იგი ტევნისამ მის ცუდი...

### [ირემისათვს]

რაეიომან ღაღადებით თქუა: ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა  
შიმართ წყალთახსა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო.

სახის მეტყუელმან თქუა ირემისახ, ვითარმედ ჯეკმა მტერ არს  
გუელისა. რა რაქამს იჩილის და ივლტინ გუელი და შთაკდის კუ-  
რელად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერლნი თვესნი წყლითა  
წყაროხსახთა. რა მივიდის კურელად, სადა-იგი გუელი დამალულ  
არნ, და დაასხის წყალი იგი და აღავსის კურელი იგი, ვიდრემდე  
გამოკვდის გუელი იგი, და დათრგუნის ფერქითა და მოკლის...

## ანდერძი პარხლისა ითხოთავისად

სახელითა მამისახთა და ძისახთა და სულისა წმიდისახთა, მეო-  
სებითა წმიდისა და ყოვლად ღიღებულისა ღმრთისმშობელისა მა-  
რადის ქალწულისა შარიამისითა, ძალითა ცხოველს-მყოფელისა  
პატიოსნისა ჯუარისახთა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინა-  
წარმეტყუელისა ზოგანე ჩათლის-მცემელისახთა, მეოხებითა და შე-  
წევნითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთახთა და წმიდა-  
თა წინაწარმეტყუელთახთა, მეოხებითა წმიდათა მახარებელთახთა  
შათე, შარეოზ, ზუკა და ზოგანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწა-  
მეთახთა და ღირსთა მღდელთმოძღუართახთა და ნეტართა მამა-  
თახთა ღირს-ციქმენ მე, გლახავი ზოგანე, ნართაულად ყერაი<sup>1</sup>, აღს-  
რულებად წმიდასა ამას სახარებასა ითხოთავსა მოღუაწებითა სული-  
სა წმიდისახთა და შეწევნითა ღმერთ-შემოსილთა კაცთახთა, სა-  
ლოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა, და სამოძღურებელად თა-  
ვისა ჩემისა, და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთახსა, და ყო-  
ველთა თვისთა ჩენთათვეს, სულიერთა და კორციელთა, და სალოცვე-  
ლად მეფეთა ჩენთათვეს ღმრთივ ღიღებულისა ყაგრატ ქართველ-  
თა მეფისა, ზავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა  
და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათვეს. ტრისტემან ყოველნი  
ადიდენინ მოწყალებითა მისითა ქამთა უკუნისამდე!

ეს გინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა  
ამას სახარებასა, მოიქსენეთ სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა  
ლოცვათა თქუენთა. ზა ყოველთა ერთობით მოღუანიჭენინ ღმერთ-  
მან კეთილნი საუკუნენი და ყოველნი ღირსმცა ვართ სასუფეველ-  
სა ცათასა და სანატრელისა მის ქმისა სმენად ტრისტე ზესუდს მიერ  
უფლისა ჩენისა! შისა დიდებად ეკლესიასა შინა მამისა თანა, სუ-  
ლით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა! ცმენ.

<sup>1</sup> ასეა.

შაიტერა დასაბამითგანთა წელთა ქ: ფ: ა.ხ.  
ტრონიკონი იუ მეცამეტედ ქცეული ქ უ.კ.  
შევწირე წმიდასა ეკლესიასა პარხლისასა.

წინაშე ახალსა ეკლესიასა ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდგას სადიდებელად ღმრთივ გვრგვნოსნისა მეფეთა მეფისა (ადიდენინ ღმერთმან!) ღმრთივ დამყარებულისა წავით მაგისტროსისა, მამიბასა სარწმუნოსა მწყემსისა და კეთილად მოღუაწისა წმიდისა მამისა წეოიმესა, ტრისტემან შეაწიენ ესე წმიდანი მახარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ქამთა უკუნისამდე, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხორებასა მას საუკუნესა! ცმენ.

ცწ ვინცა ვინ რახთაცა მიზეზითა გამოაკუას წმიდასა ჩათლის-მცემელსა, ანუ გაძლუანოს, გინა გაყიდოს და ჩუენი სასუიდელი და გულს-მოდგინებად დაამყუას, გა-მცა-ურისხდების თავადი ღმერთი და ნაწილიმცა მისი წედას თანა არს წევარიოტელსა და წმიდისა წინანე ჩათლისმცემელისა მკლველთამცა თანა დაიშვების! წა ესე წმიდანი მახარებელნი არიან მოსაჯულნი მისნი ღლესა მას ადგო-მისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხ-ვად წინაშე საყდართა დაუსაბამოდსა ძისა ღმრთისათა, თუალუხუა-ვად მსაჯულისათა. ქამლისამ არს ღიდებად უკუნითი უკუნისამდე! ცმენ.

წა ამასცე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერონ (ადიდენინ ღმერთმან!).

მე წევანე-ქერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატ-ბერდელთა. ქოველნი აკურთხენინ ღმერთმან!

## ცხორებად იოგანშესი და ეფთვამშესი

[ერცლებად როგორი და ეფთვამშესი და თორნიქისი  
მთაწმიდას]

ეს ნეტარი მამამ ჩუენი ზოვანე იყო ნათესავით ქართველი, გშობელთა და პაპთახთვან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის წავით კურაპალატისათა, მჯნე და ახოვანი და გან-თქემული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგე-ბულებითა გუამისახთა, და ბრძენი და გონიერი გონებითა და გუ-ლისქმის-ყოფითა, და სავსე შიშითა ომრთისახთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საუუარელი და საკუთარი კეთილად კსენებულისა წავით კურაპალატისად.

ქოლო ვინახთვან ცეცხლი იგი ტრისტეს სიუუარულისად გულსა მისსა მძაფრად აღეტყინა, ყოველივე დიდებად ამის სოფლისად შეუ-რაცხ-უო და ნაგევად შეპრაცხა და მონაგებნი და სიმღიდრე და გან-სუენებად, მეუღლე და შვილი თვსნი, და ნათესავნი და რაოდენიცა რად არს ამის სოფლისად, სრულიად მოიძულა და უგულებელს-უო, და მერმე კუალად თავიცა თვსი სიტყვსაებრ უფლისა. ზა აღიღო ჯუარი მჯართა თვსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლად იქუმია და იჯმნა ყოველთაგან და მხოლოდ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკ-ლესიათასა შევიდა. ზა რომელნი-იგი მას შინა ბრწყინვიდეს სათნოე-ბითა მათ ქამთა, მამამ შოსე და მამამ ქელასი, ამათ გამოუცხადა თავი თვსი და მათგან ფარულად კურთხევად მონაზონებისად მიიღო. ზა ქამ რაოდენმე ღუაწლითა ძლიერითა მორჩილებასა მისცა თავი თვსი და ყოველნი იგი მუნ მუოთნი მოღუაწენი განაკვრენა.

ქოლო ვინახთვან იწყო განცხადებად საქმემან მისმან, ნეტარ-თა მათ მამათა ლოცვად მიიღო და საბერძნეთისა ქუეყანად მიპ-მართა, რამეთუ ევლტოლდა დიდებასა კაცთასა. ზა ესრეთ მთასა ცელუმბოდესასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ქამთა არა მცი-

რედთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი აზოვნად თავს-იდვა და სხუა ცალკე გამოიყენება.

ქოლო ეინა მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი ბავით კურაპალატისა მისცნა და აზაურთა შვილნი მევ-ლად ითხოვნა მისეან, ცოლის მმათა მამისა ლოვანესთა ძე მისი წე-თვე სხუათა თანა უფლის-წულთა მძეველად მოპევარეს მეფესა.

ეს რა ცნა ლოვანე, უნდა თუ არა, უნებლივეთ თავი თვისი გა-მოაცხადა და სამეუფოდ ქალაქად აღვიდა. რა ეინა მათგან მეფენი მეცნიერ იყვნეს ცბუ-ჰარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა ლოვა-ნესი, და ლოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს.

რა ამისა შემდგომად განგრძობილად სიტყვს-გებად იქმნა შორის ლოვანესა და სიმამრისა მისისა წეტომესთვს, რამეთუ არა ენება მო-ცემად მისი, და ფრიად აბრალა მას ლოვანე, ვითარმედ: რა არს ესე? ჩუ უუუ შვილ არა გესსნესა თქუენ? ქარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვისთა შეილთა, და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ. ქარნა უფალმან შეგინდვენ თქუენ!

რა ესრეთ ვანგებითა საღმრთოოთა და პჭობითა მეფეთამთა თვის შვილი მიიყვანა და კუალად ცელუმბაღვე უკუნ-იქცა.

ქოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ეინა მათგან ვანითქუა სახელი მისი და პატივსა უუოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუ-ძნდა საქმე ესე და ამის პირისათვს კუალად უცხოებასავე მიპართა, რამეთუ აღიღო ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და შოაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდისა ცთანასესსა, და მუნ შეეწყნარა. რა აქუნ-და თავი თვისი ფარულად და უოველთავე საქმეთა მორჩილებისათა სიმდაბლით და უდრტკნველად იქმოდა. რა დაუო მზარეულობასა შინა ორი წელი, გინა უმეტეს.

რა მათ ჟამთა შინა თვისი მისი დიდი ცორნიკ თვისსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა, და რამეთუ ასმიოდა ლოვანესთვს, ვითარმედ ცელუმ-ბათა არს, და ეინა მათგან ფრიადი სიყუარული აქუნდა მისა მიმართ, მას მოპმართა და ცელუმბათა შთამოვიდა. რა ეინა მათგან მუნ ვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ შთაწმიდას არს, და თვინიერ ცნობისა მეფეთასა იღუმალ შთაწმიდას მოვიდა და კურთხევად მონაზონებისად ქელთაგან ლოვანესთა მიიღო.


ქამეთუ, ვითარცა ვთქუთ, შთაწმიდას შთამოვიდა და ლავრისა დიდისა ცთანასესსა მიიწია და, ვინახოგან დაფარვად არღარ ეგებოდა, ურთიერთას გამოეცხადნეს და სიუჟარულითა სულიერითა შეიტკინეს და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა მას დღესა, რამეთუ არცა დიდი ცთანასი უმეცარ იყო ცორნიკის საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვნებასა. ცმისთვისცა მიერითგან დიდოთა პატივითა ეპყრნეს იგინი. ქამეთუ, დაღაცათუ მათ არა უნდა ესე, ვარნა ღირსთა თვისთა ღმერთი გამოაცხადებს და აღიდებს.

ზა შემდგომად რაოდენისამე ქამისა განითქუა პამბავი მათი და იცნობა, ვითარმედ შთაწმიდას არიან. ზა იწყეს მიერითგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად. ზა ესე რაც იხილეს ნეტართა მამათა ჩუენთა, ვითარცა იყვნეს სავსენი უოვლითავე სიბრძნითა, განიზრასეს, ვითარმედ არა ჯერ-არს ჩუენი მონასტერს შინა უოფამ, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ და გარე-შექცევად შეუძლებელ არს. ზა ესრეთ განზრასვითა მამისა ცთანასესითა ლავრისაგან განშორებულად, ვითარ მილიონ ერთ, უღაბნოსა შუენიერსა წმიდისა ზოგანე ჭახარებელისა ეკლესიად აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფებოდეს მრავალ ქამ, ვითარცა ანგელოზინი ღმრთისანი.

### |ოტებაზ სკლიაროსისაც|

ზა მას ქამსა იქმნა განდგომილებად სკლიაროსისაც. ზა კელით კერძო უოველი დაიყრა, და მეფენი და დედოფალი შეწუელეულად იყვნეს ქალაქისა შინა დიღითა ჭირითა და იწროებითა. ზა ამის რაც შინა იყვნეს, განიზრასეს, ვითარმედ ჩუენი შემწე ზაფიო კერაპალატისაგან კიდე არავინ არს. ზა ვინახოგან გზანი უოველი სკლიაროსისა დაეპყრნეს, კაცისა წავლენად არა ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგებეთარი კაცი, რომელმანმცა სრულ-უო ნებაც გულისა მაოსაც.

ზა ესრეთ რაც ეურვოდეს ამის პირისათვის, ესმა ზოგანესთვის და ცორნიკისთვის და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიღისა ცთანასესსა არიან და მეუსეულად სევასტოფორი, კაცი წარჩინებული მათ ქამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათა, წიგნებითა სამეუფოვთა ლავრას წარმოავლინეს. ზა ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თკოვეულად, ვითარცა აქუნდა ბრძანებად: ერთი ცთანასი და ერთი ცორნიკის და ერთი ზოგანეს. და ესე პირი მოეწერა, ვითა:



Օմլուրտուա სკლօնարուսი გაցუადგა და ქმედით კერძო ყოველ պահի მას შემდეგ და დაბურა. ცტ ვევედრებით სიწმიდესა თქუენსა, რახთა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა სიცანე-ცორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა. Ծა სხუანი მრავალნი ვედრებანი და ქენებანი ეწერნეს სამეუფოოთა მათ წიგნთა შინა.

სე რა ესრეთ იქმნა, ფრიადსა უღონობასა შთავარდეს Շთანასე და სიცანე და, უნდა თუ არა, შეუვრდეს ცორნიკს და იწყეს ვედრებად მისა, რახთა აღვიდეს მეფეთა წინაშე. Էოლო მას რა ესმა ვედრებად მათი, ფრიად შეწუხნა და ეტყოდა, ვითარმედ: წმიდანო მამანო, მე ცოდვათა ჩემთათვს მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვად, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათვს მივმობენ. Ծა ვინავთგან ღმერთმან ღირს-მყო და სახე მონაზონებისად შევიმოსე, მე ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა. ცტ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღმრთისა სიუჟარულისათვს შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათვს, რა მეთუ, უკუეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგლებენ. Ծა იგინი ვევედრებოდეს, ვითარმედ, უკუეთუ ამას ქამსა ურჩ ვევემნეთ მეფეთა, ღიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა.

Ծა ამას ცილობასა ზედა გარდაჯდა შკდეული ერთი. Էოლო უკუანახსკნელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან Շთანასი და მამამან სიცანე მიიღეს და ძლით დაარწმუნეს წარსლვად.

Էოლო Վასილი და ხოსტანტი მას ქამსა წუთლა ყრმა იუვნეს და ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპურა და პარაკიმენონსა. Ծა ვითარცა აღვიდა ცორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმანოსმან მეფეთა წინაშე და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისუეს. Ծა უბრძანა დედოფალმან Վასილის და და ხოსტანტის და ფერგთა შეუვრდეს. Ծა დედოფალმან მიუგო, ვითარმედ: წმიდაო მამაო, რახცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა!

Ծა, ესევითარი რა ქამი დახუდა სიცანეს, შინა-გამოლებით მრავალფერთა საქმეთათვს ამხილა დედოფალსა. Ծა მან ყოველი სიმღაბლით შეიწყნარა და აღუთქუა, ვითა: წმიდაო მამაო, რახცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა არა გარდაფჰქდე.



ადებ, — ღშერთმან დაგარწმუნოს, — შრომად თავს-იდევ დარიომაც  
ლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატისა წინაშე და უოვე-  
ლი ჭირი ჩუენი აუწყე და ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი  
უღმრთოდ სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განვუარინეთ.

Фრიად ევედრა დედოფალსა, რახთამცა განათავისუფლა. ზა ვი-  
თარ იხილა მოუდრეველობად მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ: მე  
ჩემთა ცოდვათათვს შევიმოსე სახე ესე და უწყის უფალმან, რომელ  
სწორად სიკუდილისა მძიმე არს ესე საქმე ჩემ ზედა. ზარნა რაც  
უყო, არა ვიცი, წმიდასა მეფობასა თქეუნისა ურჩ ვერ ვეჯმენბი. ზა  
კუალად დედოფალმან და პარაკიმანოსმან პრეუეს, ვითარმედ: შენ  
ოდენ ამათ ობოლთა ქელი აღუპყარ და რახცა ბრალი იყოს, ღმერ-  
თმან ჩუენგან იძიენ! ზა ესრეთ წიგნები ვედრებისად დაწერეს კურა-  
პალატისა თანა.

ზა ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატ-  
სა წინაშე მიიწია ცორნიკ. ქოლო იხილა რაც იგი კურაპალატმან,  
ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთად მიითუალა. ზა უოველივე საქ-  
მე ცორნიკ გააცადა, რომლისათვსცა განზრახვად ქმნეს, რახთა ლაშ-  
ქარნი წარმოგზავნენ საბერძნეთს. ზა სპასალარად ცორნიკ განა-  
ჩინეს.

ქოლო ცორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წი-  
ნაშე წარსცა და უოველი ნებად კურაპალატისად აუწყა. ზა მაშინ  
მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა,  
ქახთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ. ქოლო ცორნიკს მოუწერეს:

წიცით, რომელ ღმერთი შეგეწევის და ნურარას ორგაულობ. ზა  
ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, უოველნი წინა-აღმდგომნი ჩუენნი  
დატყუენენ და უოველივე ნატყუენავი მათი შენი იყოს!

ქომლისათვსცა მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მჯედარი  
რჩეული ცორნიკს. ზა შეწევნითა ჭრისტესითა აოტა სკლიაროსი  
და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია.

ზა მერმე შეიქცა და სიტყვსაებრ მეფეთაშა დატყუენნა უოველ-  
ნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო. ზა  
რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვთ დაიმჭირა ნა-  
ტყუენავი დიდძალი ფრიად: ოქროო და ვეცხლი და სტავრად და  
სხუად ესევითარი. ზა უუჯიქცა და მოიკითხა კურაპალატი და დი-  
დად მოიმაღლა.

ზა იჯმნა და მეფეთავე წინაშე მოვიდა. ქოლო იგინი დიდითა  
პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს.

იჯმნა უკუ მათგანცა და გამოეთხოვა და კუალად ჭთაწმიდას-  
ვე მოიცა, ლავრად დიდისა. ცთანასესსა. ქოლო მამანი სიხარუ-  
ლით მიეგებნეს და ამბორს-უყვეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რო-  
მელმან კუალად მოაქცია მშედლობით.

## [სიგლოოლად იოგანაშა სპანიად]

ყემდგომად ცორნიერის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამა-  
მან ჩუენმან წოვანე, რახთა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწა-  
ფენი და ივლტოლის სპანიად, რამეთუ პირველითგანვე უძნდა შულ-  
ლიანობად და შფოთი... მამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა  
მცარედნი ნათესავნი და ერნი მყკდრ არიან მუნ. ზა ამის პირისა-  
თვს წარვიდა ვიდრე ცვიდოსამდე, რახთა მიერ პოვოს ნავი კერძო-  
თა სპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ.

ზა რომელი-იგი მას ქამსა მთავრობდა ცვიდოსს, ფრიად საუუა-  
რელი იუო მამისა წოვანესი და მეგობრობისა მისისათვს გამოუცხა-  
და მას გულის სიტყუად თვისი. ქოლო იგი წინა-აღუდგა და, რაოდენ  
შესაძლებელ იუო მისგან, აბრკოლებდა. ზა ვითარ ისილა მამაზ წო-  
ვანე დამტკიცებული თვისსავე გულის სიტყუასა ზედა, გამოუცხადა  
და პრქუა, ვითარმედ: წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ შენ, თუ რა-  
ბამი სიუუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისახ. ზა უკუეთუ გა-  
გიტევნე, დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ ზედა. შიუწერო მეფე-  
თა და ვითარცა ბრძანონ, ეგრეცა ქმენ.

ზა ვითარცა მიუწერა, უბრძანეს მეფეთა, რახთა სამეფოს წა-  
რავლინნეს. ზა ვითარცა აღვიდეს, დიდითა პატივითა მოიკითხნეს  
იგინი მეფეთა და დიდად აბრალეს და პრქუეს, ვითარმედ: წმიდანო  
მამანო, ჩეენ დიდი სიუუარული გუაქუს სიწმიდისა თქუენისახ, და  
რაც არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით ჩეენგან და უცხოსა ქუეუანა-  
სა წარხეუალთ? შიუგო ნეტარმან წოვანე და პრქუა: ღმრთისა მსა-  
ხურნო და თვთმპერობელნო მეფენო, გლახაკი ესე ერის კაცი ვი-  
ყავ სოფელისა შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისად და  
მენება, რახთა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო



და გლაზაკებით ვიუოფებოდი. წა თუ ვითა მოპქლა, არა უწყი. მოპქლა  
ვიდა თვისი ჩემი ცორნიკ და მისითა გზითა დიდთა შუღლთა შტატის  
უვარდი და ერის კრებასა. წა მნებავს, რახთა ამის უოვლისაგან თა-  
ვისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე.

ძრავალთა ქამთა დიდითა პატივითა დაიმჭირეს და მერმე დი-  
დითა ქენებითა ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევამ და დი-  
დითა ბოძითა განუტევეს.

წა ესრეთ კუალად შეიქცა თვისსავე მონასტერსა.

## რედაქტორისაგან

აკაკი შანიძის „ძველი ქართულის ქრესტომათია“ პირველად დაიბეჭდა 1935 წელს. თავის დროზე ამ წიგნმა დიდი სამსახური გაუწია ძველი ქართული ენის შესწავლის მსურველთ, რაღაც მაშინ ნაკლებად გვქონდა როგორც სახელმძღვანელოები, ისე მეცნიერული გამოცემები ძველი ქართული ტექსტებისა. იმ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომელიც ქრესტომათიის პირველი გამოცემის შემდეგ გავიდა, ძველი ქართულის შესწავლა მკვიდრ საფუძველზე დადგა. მკითხველს საშუალება აქვს დღეს გაეცნოს ძველი ქართული ტექსტების მრავალ გამოცემას, მნიშვნელოვან გამოკვლევებს ქართულის შესახებ. ინტერესი ქართული ენისადმი გასცდა საქართველოს ფარგლებს — ძველსა და ახალ ქართულს სწავლობენ ენათმეცნიერები, ფილოლოგები და ისტორიკოსები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც.

ამიტომაც იყო, რომ 1976 წელს გამოსული „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ ა. შანიძისა სულ მალე ძველი ქართულის შესწავლის მსურველ უცხოელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გადაითარგმნა გერმანულ ენაზე და დაიბეჭდა შემდეგი სათაურით: Akaki Shanidze, Altgeorgisches Elementarbuch. 1. Teil. Grammatik der Altgeorgischen Sprache. წიგნი გერმანულად თარგმნა.

ა. შანიძის მოწაფემ, პაინც ფენჩისმა, რომელიც იენის უნივერსიტეტის პროფესორია<sup>1</sup>. წიგნის მეორე ნაწილად, როგორც ნათქვამი იყო წინასიტყვაობაში, ნავარაუდევი იყო ქრესტომათია ლექსიკონითურით, მაგრამ მუშაობის პროცესში ავტორმა, აკაკი შანიძემ, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია ქრესტომათიისა და ლექსიკონის ცალ-ცალქე გამოცემა.

<sup>1</sup> სომხური თარგმანი: Շაնիძე ა. Հին վրացերենի քերականություն. Եերևան  
1983.

წინამდებარე ქრესტომათია წარმოადგენს „ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ცენტრის“ მეორე ნაწილს. მისი შეღენისას ავტორმა უმთავრესად გამოიყენა 1935 წ. გამოცემა, მაგრამ ეს ორი წიგნი სრულიად ერთგვარი არ არის: ახალ გამოცემაში შეტანილია ზოგიერთი ისეთი მასალა, რომელიც ადრე უცნობი იყო; ასეთებია: ბოლნისის 493 წლის წარწერა, უკანგორისა და ბეთლემის წარწერები, ტექსტი სინური მრავალთავიდან. გარდა ამისა, წინამდებარე გამოცემაში, უცხოელი მკითხველისათვის ენის შესწავლის გასაადვილებლად, ტექსტების მეტი წილი დაბეჭდილია მხედრული შრიფტით, 1935 წლის გამოცემა კი, ორი უკანასკნელი ნაწყვეტის გარდა, მთლიანად მთავრულითა და ნუსხურით არის შესრულებული, ქარაგმებიც ყველგან გახსნილი არ არის. ამრიგად, ძველად დაბეჭდილი „ქრესტომათია“ დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

„ქრესტომათიის“ ახალ გამოცემაშიც მასალა შერჩეულია ისე, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნეს ძველი ქართული ენის განვითარების ძირითად ეტაპებზე V—XI საუკუნეებში. „ძველი ქართული ენის ქრესტომათიის“ მომდევნო იქნება „ძველქართულებრანული ლექსიკონი“, რომელიც ავტორმა თითქმის მთლიანად დამთავრა თავის სიცოცხლეში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი ცნობები „ქრესტომათიაში“ შეტანილი მასალების შესახებ. ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ამა თუ იმ წარწერასთან თუ თხზულებასთან დაკავშირებული სრული ბიბლიოგრაფიის მითითება, გამოცემათაგან აღნიშნულია მხოლოდ ზოგიერთი — ყველაზე მნიშვნელოვანი ან უახლესი. ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს აქა-იქ ერთვის მცირეოდენი განმარტება ქრესტომათიაში შეტანილი მასალების შესახებ, რადგანაც არაქართველი მკითხველისათვის ეს მინიმალური ცნობებიც შესაძლოა ყოველთვის ადგილად ხელმისაწვდომი არ იყოს.

1. **წარწერანი ბოლნისისანი** (გვ. 5) „გადმოწერილია ჩემ მიერ აღიღილობრივ 1920 წ. და გამოცემული ტფ. უნივ. მოამბეში“, ტ. II (1922/23), გვ. 277—279. ეს წარწერები უძველესად ითვლება და განეკუთვნება მექევსე საუკუნის პირველ ნახევარს (ივ. ჯვახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922/23, გვ. 323). ეს შენიშვნა ა. შანი-

ძისა ახლავს 1935 წ. ქრესტომათიას (გვ. 107) და ეხება მხოლოდ მაშინ იმ ორ წარწერას, რომლებიც მაშინ იყო ცნობილი (წინამდებარე გამოცემისა ა და ბ). მესამე წარწერისა (წინამდებარე გამოცემაში ბ) 1937 წლამდე ცნობილი იყო მხოლოდ ძალზე დაზიანებული თავი და ბოლო (ჩრდილოეთის ფასადის აღმოსავლეთით მდებარე კარის ზემოთ), საღაც მხოლოდ ცალკეული ასოების ამოკითხვალა შეიძლება. წარწერის ძირითადი ნაწილი, ჩამოტეხილი და მიწაში ჩაფლული, აღმოჩნდა ბოლნისის ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს. სწორედ ამ წარწერამ მისცა საშუალება სპეციალისტებს დაწუსტებინათ წარწერათა თარიღიც და ბოლნისის სიონის აშენების დროც, რადგან სამივე წარწერა ტაძრის მშენებლობის თანადროულია. წარწერა, რომელშიც ნახსენებია „დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ“, კომპოზიციურად დაკავშირებულია ტაძართან და კედელში ჩასმულია მშენებლობის პროცესში. წარწერის ცენტრში მოთავსებული „ბოლნური ჯვრითაც“ იგი ბოლნისის სიონის მხატვრული დეკორის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

1937 წ. აღმოჩნდილი ოთხსტრიქონიანი წარწერის ნაკლული ტექსტის სავარაუდო აღდგენით შემოთავაზებული იყო შემდეგი წაკითხვა „[შეწევნითა წლი] ისა სამებავსა, ოც წლი(სა) პეროზ მეფი[ისა ზე ხიქმნა დაწყებად] ამის ეკლესიასად და ათხუთმეტ წლის[ა] შემდგომად განხეშორა. ვი]ნ აქა შინა თავყანის-ხცეს, ღწენ შეიწყალენ და ვინ ა[მის ეკლესიასა დ-თ ე]პისკოპოსსა ხულოცის, იგიცა ღწენ შეიწყალენ (ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, 1940). წარწერა დათარისებულია პერიოზ მეფის ხსენების მიხედვით: პერიოზის მეფობის მეოცე (479) წელს დაწყებული მშენებლობა დამთავრებულა 15 წლის შემდეგ. შესაბამისად ეს წარწერა 493—494 წლებისაა. წარწერის დაზიანებული დაგილების აღსადგენად ა. შანიძეს სხვა შესაძლო წაკითხვებიც აქვს შემოთავაზებული: შდრ. ტექსტი წინამდებარე გამოცემაში.

ბოლნისის სამივე წარწერა შესრულებულია მსხვილი რელიეფური არქაული მრგვლოვანით. კვეთის თავისებურებით, წერის მანერითა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ისინი ერთი ეპოქისაა. ბოლნისის წარწერები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებს წარმოადგენს,

შათვის დამახასიათებელია ხანმეტობა (შეხეწიე, თავყანის-ხცეს, ხულოცოს, შეხუაბთ). გრაფიკისა და ენობრივი ნიშნების მიხედვა  
ვით ბოლნისის წარწერები ახლოა უძველეს ქართულ ხანმეტ ტექს-  
ტებთან (V—VII სს.).

2. წარწერანი უკანგორისანი (გვ. 5—6). აღმოჩენილია 1937 წ.  
ორივე წარწერა ხანმეტობითა და პალეოგრაფიული ნიშნების მი-  
ხედვით ენათესავება ბოლნისის წარწერებს (ლ. მუსხელიშვილი,  
არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ.  
12—13). შესრულებულია რელიეფური მრგვლოვანით.

3. წარწერანი მცხეთისანი (გვ. 6). ა. შანიძის შენიშვნა: „გად-  
მოწერილი მაქვს ერმაკოვისა და ტიხონოვის ფოტოგრაფიული  
სურათების მიხედვით და აღგილობრივ შემოწმებული რამოდენიმე-  
ჭერ. ორი მათგანი გამოვეც კიდეც „ტფ. უნივ. მოამბეში“ II  
(1922/3), გვ. 276. დროის მიხედვით ისინი განეკუთვნებიან მე-6  
და მე-7 საუკუნეების მიჯნას“ (ქრესტ. 1935, გვ. 107). წარწერები  
შესრულებულია მსხვილი ამოკვეთილი ასომთავრულით მცხეთის  
ჯვრის ტაძრის კედლებზე კტიტორთა გამოსახულებებთან.

4. წარწერა წყისისამ (გვ. 6). ნაპოენია სამცხეში, სოფ. უდე-  
დან სამიოდე ქმ. დაშორებით. ა. შანიძის ვარაუდით (ქრესტ. 1935,  
გვ. 108), სპარსული და რომაული სათვალავის შეჯერების შედეგად  
შესაძლებელია წარწერის დათარიღება 616—619 წლებით. წარ-  
წერა ამოკვეთილია ქვაზე მრგვლოვანი ასოებით. საყურადღებოა  
ჰაემეტი ფორმა: აღმუმართე.

5. წარწერა ბეთლემისამ (გვ. 7). დაბეჭდილია გ. წერეთლის  
წიგნის მიხედვით: უძველესი ქართული წარწერები პალესტინი-  
დან, თბ., 1960. წარწერები აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა  
ვ. კორბომ და პირველად შეისწავლა და გამოაქვეყნა მ. თარხნი-  
შვილმა („ბედი ქართლისა“, № 9, 1951). წარწერა, რომელიც შეს-  
რულებულია ფერადი მოზაიკით, გ. წერეთლის ვარაუდით, 532—  
552 წლებს განეკუთვნება.

6. წარწერა ატენისამ (გვ. 7). „გაღმობეჭდილია ივ. ჯავახიშ-  
ვილის გამოკვლევიდან (Христ. ВОСТОК I, 227 და შემდ.) იგი აღ-  
გილობრივადაც მაქვს შემოწმებული 1922 წ.“ (ქრესტ. 1935, გვ.  
108). წარწერა გამოყვანილია ექლესიის შიდა კედელზე საღებავით,

მრგვლოვანი ხელით. წარწერაში ნახსენები ორივე თარიღი „ქრონიკის“ თარიღი არის „1883 წელს სათვალავით 853 წელს იძლევა.“

7. ხანმეტი ტექსტები (გვ. 7—16). გადმობეჭდილია უმთავრესად ხანმეტი ლექციონარიდან. პირველად ეს ტექსტები დაიბეჭდა 1929 წელს (ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ტფ. უნივ. მოამბე, IX). ამჟამად გამოცემულია ცალკე წიგნად: ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1944. ხელნაწერი, რომელიც შინაარსით წარმოადგენს აღვსების საკითხავებს, შესრულებული უნდა იყოს პალესტინაში, საიდანაც შემდგომ მოხვედრილა სინას მთაზე. XIX ს. ბოლოს იგი დაიკარგა და ამჟამად მისი ძირითადი ნაწილი, 2 ფურცლის გარდა, სინური წარმოშობის სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად, ავსტრიაში. ქ. გრაცში იმყოფება. ხანმეტი ლექციონარი, სხვა ხანმეტ ტექსტთაგან განსხვავებით, პალიმფსესტის არ წარმოადგენს. იგი ნაწერია მსხვილი არქაული მრგვლოვანით. ტექსტში მშვენივრად ჩანს „ზედმეტი“ ხანები, თუმცა აქა-იქ მათი ამოფხეკა უცდით. ამჟამად ხანმეტი ლექციონარის 2 დაკლებული ფურცელიც აღმოჩენილია. ერთი მათგანი პარიზშია და შეიცავს მათვს თავის XXVII 4—7 (B. Outtier, Un feuillet du léctionnaire géorgien à Paris. Muséon, v. LXXXV, 3-4, Paris, 1972). ქრესტომათიაში ეს ფრაგმენტი ამოღებულია ბ. უტიეს ზემოხსენებული გამოცემიდან. მ. VII 1-8 გადმობეჭდილია ივ. ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ხანმეტი პალიმფსესტიდან (ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922/23).

8. ჰაემეტი ტექსტები (გვ. 17—20). გადმობეჭდილია ა. შანიძის გამოკვლევიდან „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“ (ტფ. უნივ. მოამბე, III, 1923). ხელნაწერი ვარაუდით VIII საუკუნისაა. ტექსტი პალიმფსესტურია, ქვედა ფენა ნაწერია მრგვლოვანით და ძნელი ამოსაკითხავია.

9. გამოსლვათაც (გვ. 20—23). ამოღებულია 978 წ. ძველი აღთქმის ხელნაწერიდან, რომელიც ითანხმის თორჩიკ-ყოფილმა გადაწერინა აშენის ლავრაში (ტაო-კლარჯეთში). მისივე მეოხებით ხელნაწერი მოხვდა ათონის მთაზე. ამის შემდეგ იგი ათონის ქართველთა

მონასტერში ინახებოდა; XIX ს.-ის შუა წლებში იგი ცოტა ჩამოიტანეს საქართველოში, შემდეგ კი კვლავ ათონზე დაბრუნეს. 1910 წ. მთლიანი ხელნაწერის ფოტო გადაიღეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისათვის. ქართველმა მეცნიერებმა (ი. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, ი. ყიფშიძემ) იმთავითვე დაიწყეს მუშაობა ტექსტის გამოსაცემად, მაგრამ იმ ხანებში დაწყებული სამუშაოს გაგრძელება არ მოხერხდა. ა. შანიძე მიუთითებს: „გამოსლვათა წიგნს 1916-17 წლებში ვბეჭდავდი აკად. ნ. მარის ოდაქციით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში ათონის ხელნაწერის მიხედვით (ნაკლულოვან ადგილებს ვაკებდი მცხეთური ხელნაწერიდან). ჩემს ხელთ იყო ხელნაწერის ფოტოგრაფიული პირები, რომლებიც აზიის მუზეუმს ეკუთვნოდა. დაიბეჭდა პირველი ცამეტი თავი და მეთოთხმეტისა 1-24 მუხლი. აწყობილი იყო კიდევ 35 თავამდე (ამიანად). რევოლუციის შემდეგ გამოცემა შეწყდა“ (ქრესტ. 1935, გვ. 110). ხელნაწერი დაზიანებულია, ზოგიერთი წიგნი მთლიანად აკლია; ხელნაწერი თავდაპირველად სამ წიგნად ყოფილა აკინძული, შემდეგ კი დარჩენილი ნაწილები ორ წიგნად შეუკრავთ. ამით აიხსნება წიგნთა უჩვეულო თანმიმდევრობა ხელნაწერში.

ამჟამად ოშეის ბიბლიის ცალკეული ნაწილები დაბეჭდილია. გამოსლვათა წიგნი გამოაქვეყნა ა. შანიძემ: წიგნი ძუელისა და აღთქმისანი 978 წ. ხელნაწერის მიხედვით. ტ. I, ნაკვ. I. დაბადებისამ, გამოსლვათამ, თბ., 1947.

10. წამებად წმიდისა შუშანიკისი (გვ. 24—31). წარმოადგენს ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ლიტერატურის ყველაზე ადრეულ ძეგლს, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია. თხზულება დაწერილია 476—483 წლებში. ავტორია იაკობ ხუცესი (ცურტაველი). თხზულების ადრეული ხელნაწერები დღეს არ არის. ყველაზე ძველია პარხლის მრავალთავი (საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 95, X ს.) ტექსტი ნაწერის ნუსხურით. 1935 წ. ქრესტომათიაში ტექსტი ამოღებულია უშალოდ ხელნაწერიდან. იქვეა დამოწმებული ს. გორგაძის გამოცემა (1917 წლისა). ამჟამად არსებობს ტექსტის ახალი კრიტიკული გამოცემები, რომლებშიც სხვა ხელნაწერთა ჩვენებებიც არის გათვალისწინებული: იაკობ ცურტაველი, მარტვლობად შუშანიკისი, გამოსცა

ილია აბულაძემ, თბ., 1938 (ფოტომექანიკური გამეორება გამოცემა — 1978 წ.); ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964.

11. მარტვლობად და მოთმინებად წმიდისა ევსტათი მცხეთელისა (გვ. 32—41). 1935 წ. ქრესტომათიაში შეტანილი არ არის. ეს არის ორიგინალური ქართული თხზულება. დაწერილი უნდა იყოს ევსტათის თანამედროვისა და თვითმხილველის მიერ VI საუკ. I ნახევარში. თხზულების უძველესი ხელნაწერი XI საუკუნისაა (ხელნ. ინსტ. H 341; ტექსტი ნაწერია ნუსხური ხელით). თხზულება რამდენჯერმეა გამოცემული. უკანასკნელი გამოცემა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.

12. წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტისისა პაბოსი (გვ. 42—47). დაბეჭდილია იმავე მოცულობით, როგორითაც 1935 წ. ქრესტომათიაში, სადაც აღნიშნულია, რომ ტექსტი უშუალოდ არის ამოღებული სვანეთის მრავალთავიდან (A 19, X ს.) თხზულების სრული სათაურია: „წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტისა პაბოსი, რომელი იწამა ქართლსა შინა ქალაქსა ტფილისს, კელითა სარკინოზთავთა, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტის მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისამთა“ აბოს მარტვილობა მოხდა 786 წ, 6/1. თხზულება დაწერილია სამოელის კათალიკოსობის დროს, ე. ი. არა უგვიანეს 790 წლისა. სრული ტექსტისათვის იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.

13. შრომად და მოღუაწებად ლირსად ცხორებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრიტისად ხანძთისა და შატერებისად (გვ. 48—50). 1935 წ. ქრესტომათიაში შეტანილი არ არის. თხზულება, რომლის ავტორია გიორგი მერჩულე, ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ძველ ქართულ ლიტერატურაში. ნაწარმოებში მოცემულია კრცელი თხრობა გრიგოლის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ ტაო-კლარჯეთში. VIII—IX საუკუნეებში. ნაწარმოები ცნობილია ერთადერთი ნუსხით, მას მიაკვლია 6. ჩუენიაშვილმა (იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 2 (რ. ბლეივის კატალოგით), XII საუკუნისა, ნაწერია ნუსხურით). თხზულება დაწერილია, როგორც თვით ავტორი მოგვითხრობს, 951 წელს, გრიგოლის გარდაცვალების დროს.



ბიდან 90 წ. შემდეგ, ხოლო თვით გრიგოლს ასორი წელი უცხოვდა  
რია (759—861). ძირითადი გამოცემა (ვრცელი გამოკვლევით) ეკუ-  
თვნის 6. მარს. გეორგი მერცულ, ჯითი ს. გრიგორია ხანძ-  
ტიესკი, ტP, ჩ. VII, С.-პეტერბურგ, 1911. 6. კიდევ ძველი  
ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.

14—16. გამოცხადებად წმიდისა ჯუარისა ზეცით (გვ. 51—52),  
პოვნად პატიოსნისა ჯუარისა (გვ. 52—58) და პოვნად საშვეულ-  
თა წმიდისა ჯუარისა (გვ. 58—60) „ამოღებულია უდაბნოს მრა-  
ვალთავიდან, რომელიც ჩემ მიერ გურიიდან არის ტფილისში მო-  
ტანილი (A 1109). იგი ნაწერია მრგლოვანი ხელით და განეკუთვ-  
ნება დაახლოებით მე-9 და მე-10 საუკუნეთა მიხნას“ (1935 წ.  
ქრესტ., გვ. 110).

17. ცხორებად იოვანე ოქროპირისა და (გვ. 60—63). თხზულების  
ნაწყვეტი 1935 წ. ქრესტომათიაში დაბეჭდილია შემდეგი სათაუ-  
რით: „კურთხევად იოვანე ოქროპირისა პატრიაქაზ (გვ. 54—58).  
იგი, როგორც აღნიშნულია შენიშვნებში, „ამოღებულია 968 წ.  
ხელნაწერიდან, რომელიც შეიცავს იოვანე ოქროპირის ცხოვრებას.  
იგი წამოღებულია სინადან პორტირი უსახესის მიერ და მისი სი-  
კედილის შემდეგ შესული იყო [პეტერბურგის—მ. შ.] საგარო  
ბიბლიოთეკაში (ახალი სერია, № 13), 1923 წლიდან კი ტფილის-  
შია გადმოტანილი და საქ. მუზეუმშია დაცული (H 2124)“. (1935  
წ. ქრესტ., გვ. 110).

იოანე ოქროპირის ცხოვრების ტექსტი ამჟამად სრულად არის  
გამოცემული: იოვანე ოქროპირის ცხოვრების ძველი ქართული  
თარგმანები და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამ-  
ზადა რ. გვარამიამ, თბ., 1986. თხზულების სრული სათაურია:  
„ცხორებად წმიდისა და ნეტარისა და მოძღვრისა ყოვლისა სოფ-  
ლისა და ვარსკულავისა მის განთიადისა მამისა ჩუენისა იოვანე  
ოქროპირისა, კოსტანტინეპოვლელ მამაღმთავრისად“. ქრესტომა-  
თიაში მოცემული ნაწყვეტი 6. გამოცემის 37—41 გვერდებზე.

18. წამებად წმიდისა პავლე მოციქულისა ჰინა (გვ.  
64—65) 1935 წლის ქრესტომათიაში არ არის შეტანილი. წინამდე-  
ბარე გამოცემაში მოცემულია თხზულების ნაწყვეტი, ამოღებული  
სინური მრავალთავიდან. იხ. სინური მრავალთავი 864 წლისა,  
აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 250. სინური მრავალთავი

უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერია. მისი დაბეჭდვა შემდეგ გამდებლი გახდა იმის შემდეგ, როდესაც საქ. მეცნ. აკადემიაში გაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიიღო სინის მთისა და იერუსალიმის ხელნაწერთა მიკროფილმები (1956 წ.).

19. **მოქცევად ქართლისამ** (გვ. 66—69). თხზულების ორი ნაწყვეტი, რომელიც მოცემულია წინამდებარე გმოცემაში, 1935 წ. ქრესტომათიაში დაბეჭდილია ცალ-ცალკე, საერთო სათაურის გარეშე (გვ. 63—65) და „ამოლებულია შატბერდის კრებულიდან (S 1141), რომელიც X საუკუნის 70-იან წლებშია გადაწერილი იოანე-ბერას მიერ ნახევარი მრგლოვანად და ნახევარი ნუსხურად“ (1935 წ. ქრესტ., გვ. 110). დღეს ირკვევა, რომ „შატბერდის კრებული“ სამი პირის მიერ არის გადაწერილი. „მოქცევად“ გადაწერილია იოანე-ბერას მიერ ნუსხური ხელით, სათაურები მრგვლოვანით არის გამოყვანილი.

ხელნაწერი ამჟამად სრულად არის გამოცემული: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.

20. **მყეცთათვს სახისა სიტყუამ** (გვ. 70—72). დაბეჭდილია 1935 წ. ქრესტომათიაში შემდეგი სათაურით: სახისა სიტყუამ (გვ. 58—61). ა. შანიძე აქაც, როგორც ზემოთ, მიუთითებს, რომ ნაწყვეტები ამ თხზულებიდან ამოლებულია შატბერდის კრებულიდან.

„შატბერდის კრებულში“ და სხვაგანაც ქართულ წყაროებში თხზულება ბასილი კესარიელს მიეწერება. თხზულება პირველად გამოსცა 6. მარმა: **Физиолог, армяно-грузинский извод. Грузинские и армянские тексты исследовал, издал и перевел Н. Марр. ТР VI, С.-Петербург, 1904.**

21. **ანდერძი პარხლისა ოთხთავისამ** (გვ. 73—74). დაბეჭდილია 1935 წ. ქრესტომათიაში შემდეგი სათაურით: ანდერძი იოვანე-ბერასი (გვ. 65—66). შენიშვნებში (გვ. 110) მითითებულია, რომ იგი ამოლებულია პარხლის ოთხთავიდან (ხელნაწ. ინსტ. A 1458). ხელნაწერი ნაწერია მრგვლოვანი ხელით, იოვანე-ბერას ანდერძი—ნუსხურით. ანდერძში მოცემული თარიღი ახალი წელთაღრიცხვით არის 973 წ. („ქრონიკონი მეცამეტედ ქცეული რუგ“ (780+  
+293)=973 წ. ამავე წელს იძლევა სათვალავი „დასაბამითგან“. ანდერძის ტექსტი გამოცემულია კიდევ წიგნში: ქართული ოთხთა-

ვის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედული გით. გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945, გვ. 034—035.

22. ცხორებად იოვანესი და ეფთვმესი (გვ. 75—81). 1935 წ. ქრესტომათიაში დაბეჭდილია იგივე სამი ნაწყვეტი, რაც წინამდებარე გამოცემაშია, მაგრამ საერთო სათაურის გარეშე: მოსლვად იოვანესი და ეფთვმესი და თორნიკისი მთაწმიდას (გვ. 86—88), ოტებად სკლიაროსისად (გვ. 88—91) და სივლტოლად იოვანტესი სპანიად (გვ. 91—92). მითითებულია, რომ ტექსტი ამოღებულია ათონის 1074 წ. ხელნაწერიდან (ამეამად ხელნ. ინსტ. A 558). დაწერილია ნუსხური ხელით; დასახელებულია ძველი გამოცემა ძეგლისა (ათონის ივერიის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, ტფ. 1901), აღნიშნულია, რომ მასში შეცდომები არის. თხზულებაში თავებად დაყოფა და მათი დასათაურება არ არის. შდრ. გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებად იოვანესი და ეფთვმესი, გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა, თბ., 1946. გიორგი მთაწმიდლის ეს თხზულება, რომელიც აღწერს ქართველთა მოღვაწეობას საბერძნეთში, ათონის მთაზე, მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. იგი ძველი ქართულის ბოლო პერიოდს განეკუთვნება და მის ენაში ბევრი რამ არის ახალი (ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვმეს ცხოვრების მიხედვით, წიგნში: „ცხორებად იოვანესი და ეფთვმესი“, გვ. 81).

მზექალა შანიძე

## సారాంశం

సారాంశానికి భాషణిసిసాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	5
సారాంశానికి ఉపాంగమహిసాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	5
సారాంశానికి ఘట్టమాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	6
సారాంశానికి వ్యాపిసాం	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	6
సారాంశానికి భేతల్యమిసాం	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	7
సారాంశానికి ఆశ్రమిసాం	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	7
<b>సామిటి ర్యాజుస్క్రేపి</b>	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	7
మాటలిస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	7
మార్కుంథిస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	10
ఎంపాదస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	11
ఒంగాంథిస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	17
<b>క్రొమెటి ర్యాజుస్క్రేపి</b>	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	17
మాటలిస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	17
మార్కుంథిస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	18
ఎంపాదస టాగిసాగాని	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	19
<b>గామిసల్వాతాం</b>	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	20
సామీంబాం ఫిలిఫిసా శ్రుంథానిపిసి	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	24
మార్కెట్‌లోంభాం దా మెంటమింగ్‌భాం ఫిలిఫిసా గ్రేస్క్రాతి మప్పెత్తెలిసాం	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	32
సామీంబాం ఫిలిఫిసా దా న్యెత్రారిసా మిల్ఫిమిసా జ్రొసిఫ్రెంచిసిసా కొంపమి	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	42
శురుమాం దా మెండ్‌ప్రెంబాం లోంసాం ప్రెంట్‌రెంబిసాం ఫిలిఫిసా దా న్యెత్రారిసా మామి- సా ర్యూఫిసిసా గ్రోగోల్లిసి	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	48
గామిప్రెంబాం ఫిలిఫిసా క్యూరిసిసా క్యెప్రిట	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	51
క్రోన్‌బాం పొర్చిసిసిసా క్యూరిసిసా	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	52
క్రోన్‌బాం సిమ్ప్రెంబాం ఫిలిఫిసా క్యూరిసిసాతాం	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	58
ప్రెంట్‌రెంబాం ఒంగాం ఏంచ్‌రెంపించిసిసా	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	60
సామీంబాం ఫిలిఫిసా పొప్పిమ్మిసాం ప్రెంచ్‌మెస్ శిన్‌	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	64
మొప్పెంబాం జ్యారిటలిసిసా	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	66
మ్యెప్రాతాత్విస్ సాథిసా సిట్ర్ప్యూమ	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	70
అండ్రెంబి పొర్చిసిసా రంబెతాగిసిసా	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	73
ప్రెంట్‌రెంబాం ఒంగాంథిసి దా గ్రేట్‌మెంచిసి	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	75
<b>ఖ్రీస్తు రంబిసాగాం</b>	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	82

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლოლაძე  
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე  
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი  
კორექტორი ნ. ჩახაია

სბ № 1462

გადაეცა წარმოებას 11.12.86, ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.11.88.

უე 07992. საბეჭდი ქაღალდი  $60 \times 84$ . პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6.

საალტ.-საგამომც. თაბაზი 4,16. ტირაჟი 500.

შეკვეთის № 1691

ფასი 25 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.



Акакий Гаврилович Шанидзе

ЭЛЕМЕНТАРНАЯ КНИГА ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Часть II

Хрестоматия древнегрузинского языка  
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси 1989



o 170/94